N 22 11/01/2019

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 17

დ. ჩოხატაური **26 დეკემბერი, 2018 წელი**

სხდომის თავმჯდომარე-ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ენვერი ახალაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, დავით გუდავაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მინდია დოლიძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: ალექსანდრე შარაშიძე, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, მარინე ბერაძე, მაია გიორგაძე, შალვა ჩანტლაძე, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, მამია ბარამიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მაია გოგოლაძე- საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

თეა უჯმაჯურიძე- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ნიკოლოზ დუმბაძე- სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი.

სხდომას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი- ირაკლი კუჭავა.

მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილეები და სამსახურის უფროსები.

ჩოხატაურსა და ლანჩხუთში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში- ანა თავართქილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და მერის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N25 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა 2019 წლის წლიური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> ირაკლი ახობაძემ, გოჩა ჯიქიამ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და მერის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N25 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

3. ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა 2019 წლის წლიური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ხუნდაძე

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

I საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> აკაკი ყაჭეიშვილმა, დავით გუდავაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

II საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და მერის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N25 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და მერის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N25 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ლაშა თოლორდავამ, ქეთევან სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და მერის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N25 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

III საკითხი: ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა 2019 წლის წლიური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა 2019 წლის წლიური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ,

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ შეუძლია თუ არა საკრებულოს წევრებს ჩაერთოს ამ პროგრამაში?

ზაალ მამალაძე- შესაძლებელია, რამდენიმე საკითხი საკრებულოს შერჩეულიც კი არის და შეთანხმებული მერიასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა 2019 წლის წლიური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ.

IV საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ხუნდაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u>

აკაკი ყაჭეიშვილმა, ზვიადი მამალაძემ,

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა: საფინანსო- საბიუჯეტო სამსახური, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ რამდენიმე კვირაში აკეთებს კვარტლურ განწერას, რომელსაც წარუდგენთ ფინანსთა სამინისტროს. ეფექტურობის მიზნით, სასურველია, ანალოგიურად რომ ხდებოდეს საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიაშიც, შემდეგ კვარტლის ანგარიშში რომ იყოს ასახული ეს ანგარიში და ამის მიხედვით მოხდეს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის კვარტლური მუშაობა, რომ ეს ცნობილი იყოს საკრებულოს წევრებისთვისაც.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

V საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ აღნიშნა, რომ სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის სხდომაზე განვიხილეთ 2019 წლის ბიუჯეტი და სხდომაზე კომისიას ქონდა შენიშვნები, რომელთაგან ყველა იქნა გათვალისწინებული. ნაწილი 2019 წლის ბუჯეტში და ნაწილი რეგიონალური განვითარების ფონდიდან. ბიუჯეტის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, კომისიის სხდომაზე დაისვა რამდენიმე საკითხი: 30,0 ათასი ლარით უნდა გაზრდილიყო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სოციალური პროგრამების კუთხით, რაზეც მივიღეთ თანხმობა მერიიდან. დამატებით 11,0 ათასი ლარი კიდევ გახდა საჭირო ტუპერკულოზის, C ჰეპატიტის და აივ ინფექციისთვის.

გთხოვთ, კომისიის სახელით, რომ ამ პროგრამების განხორციელებისთვის 2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს დამატებით 11,0 ათასი ლარი. ასევე, მეწარმე ქალთათვის, რომლებიც ბიზნესს აწარმოებენ ჩვენს მუნიციპალიტეტში, ბიზნეს ფორუმის თანადაფინანსებისთვის 2 000 ლარი.

43,0 ათასი ლარი დაემატოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესში ცვლლებებისთვის, როგორიცაა: 4, 400 ლარი ახალშობილ ბავშვებისთვის, 10,0 ათასი ლარი მძიმე საცხოვრებელ პირობებში მქონე ადამიანთა ერთჯერადი დახმარებისთვის, 18- წლამდე ასაკის, დედ- მამით ობოლი ბავშვების დახმარება 100 ლარის ოდენობით გაორმაგდეს და გახდეს 200 ლარი ყოველთვიურად, რაც 3 600 ლარს შეადგენს. სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ხარჯის დაფინანსეას დაემატა 5 000 ლარი. ასევე, დაემატა თანხა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სარებილიტაციო თანხა 5 000 ლარი.

გამომდინარე ამ ცვლილებებიდან, თუ მერის თანხმობა იქნება, 2019 წლის ბიუჯეტში სოციალური დახმარების კუთხით ბიუჯეტის 06 კოდში 728,0 ათასი ლარი იქნეს გათვალისწინებული. აქედან, ა(ა)ი.პ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრზე და ა(ა)ი.პ. კომუნალური სამსახური ,,სხივზე" 80,0 ათასი ლარი უნდა ყოფილიყო და გახდება 85,0 ათასი ლარი. სოციალურ პროგრამებზე გათვალისწინბული იქნება 643,0 ათასი ლარი.

გთხოვთ, საკრებულოს წევრებს და მუნიციპალიტეტის მერს გაითვალისწინოთ ეს შენიშვნები 2019 წლის ბიუჯეტში და ამ ცვლილებით ვუყაროთ კენჭი წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ.-ებში თანხის დამატებას, შევთანხმდეთ, რომ ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის“ სუბსიდირება გაიზარდოს 20,0 ათასი ლარით. ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სუბსიდირება- 15,0 ათასი ლარით. ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის სუბსიდირება 15, 0 ათასი ლარით და ა(ა).ი.პ. კულტურის ცენტრის დაფინანსება 5,0 ათასი ლარით.

წარმოდგენილ ცვლილებას გაითვალისწინებთ და უყაროთ კენჭი. გთხოვთ, რომ ეს თანხები 2019 წლის ბიუჯეტში იქნას გათვალისწინებული.

ირაკლი ახობაძე- ბატონო ვლადიმერ, კარგი იქნებოდა კონკრეტულად ჩამოგეყალიბებინათ თუ რაში ჭირდება ამ ა(ა).ი.პ.-ებს თანხის დამატება, რისთვის ითხოვთ დამატებას, ხელფასები იზრდება თუ სხვა ღონისძიებებისთვისაა საჭირო.

ბიუჯეტზე შეკითხვები-

მაია კუტუბიძე- 1 561 100 ლარი შეადგენს მატებას 2019 წლის ბიუჯეტში და მაინტერესებს, თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლი რამდენად არის მისადაგებული ამ 1 561 100 ლარის ჩაშლაზე. რაზე ვიყენებთ ამ თანხას, რის მატებაა მომავალი წლის ბიუჯეტში.

მაია გოგოლაძე- განმარტებით ბარათში წერია, რომ 2019 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 1 561 100 ლარით, მაგრამ ეს არ ეხება თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლს და რატომ: ეს იყო ქონებიდან შემოსავალი. 400,0 ათასი ლარი მივმართეთ რომ გაზრდილიყო ქონების გადასახადი. რაც შეეხება წინა წელთან შედარებით გაზრდილ ბიუჯეტს, გეტყვით, რომ დამტკიცებულ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების მუხლი 2018 წლის ბიუჯეტში შეადგენდა 1 490, 0 ათას არს. შემდეგ მოხდა ხელფასების მატება, ასევე დაემატა საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეების მოადგილეების ხელფასები და ხელფასების სხვაობა დამტკიცებულ ბიუჯეტსა და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის არის 589, 300 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივები 2018 წელს იყო 297, 400 ათასი ლარი,

ხოლო 2019 წელს განისაზღვრა 455, 0 ათასი ლარით, ანუ 157, 600 ათასი ლარი გვაქვს აქაც მატება. რაც შეეხება სოციალურ პროგრამებს, იყო 550,0 ათასი ლარი და გახდება 728,0 ათასი ლარი, 93,0 ათაი ლარითაა აქაც გაზრდილი სოც. პროგრამები. საბავშო ბაღების სუბსიდირება დაგეგმილი იყო 980,0 ათასი ლარი და 2019 წელს იქნება 320,0 ათასი ლარით გაზრდილი. გაზრდილია ასევე განათლების ხელშეწყობის სისტემაც. ასე არის განაწილებული ის 1 561 100 ათასი ლარი და რაც შეეხება თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლს, დარღვეული არ არის.

ირაკლი ახობაძე- თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლის მოთხოვნები დარღვეულია. რაც შეეხება დასუფთავების მოსაკრებელს, მაინტერესებს რამდენი ლარია და ასევე, მაინტერესებს, სხვა შემოსავლები რატომ შემცირდა, საკრებულოს მიერ მიღებული შენიშვნების შედეგად თუ მერიამ შეამცირა?

მაია გოგოლაძე- ქონების გადასახადის პროგნოზი იყო 1 600, 0 ათასი ლარი, ამიტომ, ბიუჯეტის დასაბალანსებლად, სხვა შემოსავლებში ჩადებული იყო 400, 0 ათასი ლარი და ნაშთი 300, 0 ათასი ლარის ოდენობით. შემდეგ, ნაშთიდან დარჩა 100, 0 ათასი ლარი და ამიტომაც არის შემცირებული სხვა შემოსავლები. დასუფთავების მოსაკრებელს რაც შეეხება, წინა წელს იყო 35,0 ათასი ლარი, შემოვიდა 7,0 ათასი ლარ და 2019 წელს გვაქვს 28, 0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კუჭავა- მოგესალმებით და მოგახსენებთ, რომ 2019 წლისათვის სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი უნდა მივიღოთ, ასევე, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, გამარჯვებულ ქალთა კლუბის პროექტის დაფინანსებისთვის, გენდერული თანასწორობის ხარჯისთვის, სოციალური და კულტურული კუთხით პროგრამების დაფინანსებისთვის, განათლების კუთხით და ა.შ.

2019 წლის ბიუჯეტი 2014 წლის ბუჯეტთან შედარებით, თითქმის 80 %- ით არის გაზრდილი ეს არის კარგი შედეგი და საფუძველი იმისა, რომ ამაყად შევხედოთ საზოგადოებას თვალებში.

მინდა მოგახსენოთ სიახლეებზეც: რეგიონული განვითარების სამინისტროსთან გვაქვს მოლაპარაკებები. 2018-ში 17 პროექტი დავგეგმეთ რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან. 17- დან, საკასო თვალსაზრისით 12 უკვე დასრულებულია, 3 ფაქტურად სრულდება და მოხდება მისი ასახვაც. მხოლოდ 2 პროექტი გადადის მომავალი წლის იანვრის თვეში და ისიც დასრულდება.

დაბა ჩოხატაურში, კოსტავას ქუჩაზე დასრულდა სასწრაფო სამედიცინო ცენტრის მშენებლობა და ხვალისთვის იგეგმება გახსნა. ასევე, ქვემო ერკეთში, მოედანას მიმართულებით ასვალტ- ბეტონის მოწყობა. ანა კალანდაძის სახელობის პარკის სამშენებლო სამუშაოები დასრულდა სოფ. ხიდისთავში. ასევე, სოფ. ჯვარცხმა- ვაზიანის დამაკავშირებელი გზის ასვალტ- ბეტონის მოწყობა და მრავალი სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები შესრულდა 2018 წელს.

რაც შეეხება მომავალ წელს, იქნება უფრო რთული წელი ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, თუმცა მზად ვართ ამისთვისაც.

ირაკლი ახობაძე- წლის დასრულებამდე თვე ნახევრით ადრე,სტიქიისთვის გამოყოფილი თანხებიდან აუთვისებელია 800,0 ათასი ლარი. როგორ ახსნით ამ ფაქტს.

ირაკლი კუჭავა- ამის კარგი მაგალითი იყო ის, რომ ისეთი საკითხები, რომლებიც ოპერატიული თვალსაზრისით მომგებიანია, მაგ. სახურავის თემა, საცალფეხო ხიდის თემა თუ სხვა, უნდა გვარდებოდეს სწორედ იმ ფორმით, რა ფორმითაც ახლა გვარდება, ანუ გამარტივებული შესყიდვებით და სამუშაოების ოპერატიულად შესრულებით. რამ გამოიწვია ეს ყოველივე? ორჯერ ჩავარდა ტენდერი და ამან.

ლია ჩიგოგიძე- 14 დეკემბერს მოგმართეთ წერილობით, რომ მოგეწოდებიათ ინფორმაცია 2018 წლის 1 სექტემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით, თუ ვისზე გაიცა სოციალური დახმარებები კონკრეტულად სახელ- გვარების ჩვენებით, რომელიც დღემდე არ მიგვიღია.

ირაკლი კუჭავა- ჩვენ მუნიციპალიტეტი არ ვართ სოციალური დახმარების გამცემი დაწესებულება. რაც შეეხება სახელობით სიას, ეს არის პერსონალური ინფორმაცია და კანონი კრძალავს ამ ინფორმაციის გასაჯაროებას.

ლია ჩიგოგიძე- ა9ა)ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომლებს შეუმცირდათ ხელფასები. არაერთხელ დავსვი ეს საკითხი და მაინტერესებს, რატომ შეუმცირდათ მათ ხელფასები, როცა ისედაც ძალიან დაბალია ამ ა(ა)ი.პ.- ში შრომითი გასამრჯელო?

ირაკლი კუჭავა: თვითონ გადაწყვიტეს ასე, რეორგანიზაციის შედეგად თანამშრომელთა შემცირებას ამჯობინეს ხელფასის შემცირება. გვექნება საშუალება ბიუჯეტში? გავზრდით ხელფასებს, არ იქნება? შევამცირებთ, თუმცა, ეს არ მოხდება პოლიტიკური ნიშნით.

ირაკლი ახობაძე- ა(ა)ი.პ. კომუნალური სამსახური სხივს გეგმა მივეცით 630,0 ათასი ლარი, ახლა 2019 წლის ბიუჯეტში ამ ა(ა)ი.პ.- მა უნდა დახარჯოს 555,0 ათასი ლარი. დაახლოებით 80,0 ათასი ლარით ნაკლები. ფაქტობრივად, ჩვენ ისევ გვიწევს დაფინანსების მატება ამ ა(ა)ი.პ.- ზე. მაინტერესებს, საიდან უნდა მოხდეს თანხის მატება და რა რესურსი გაქვთ ამისთვის?

მაია გოგოლაძე- შემოსავლების შემოსვლის შემთხვევაში გავზრდით ამ ა(ა)ი.პ- ის თანხას. თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლი ამ შემთხვევაში არ გვზღუდავს.

- რაც შეეხება რესურს, რესურსი არის წინა წლის გამოცდილება, დასძინა ირაკლი კუჭავამ.

ირაკლი ახობაძე- 2018 წელს მოხდა ა(ა)ი.პ.- ების რეორგანიზაცია. თქვენ აღნიშნეთ, რომ ეკონომიას მიიღებდა ამით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. დღეს, ისევ ვუზრდით ა(ა).ი.პ.- ებს დაფინანსებას. მაინტერესებს, განახორციელეთ თუ არა რეორგანზაცია, მიიღეთ თუ არა ამით შედეგი და რა ეკონომია გაკეთდა ამით.

ირაკლი კუჭავა- რეორგანიზაცია გაკეთდა, შედეგიც მივიღეთ და ეკონომიაც გაკეთდა ამ რეორგანიზაციის შედეგად. 2019 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში ამ რეორგანიზაცია კავშირი არ აქვს.

ირაკლი ახობაძე- დღეს მტკიცდება მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი და ეს იღებს იურიდიულ ძალას სადაც წერთ, რომ 19 საბავშვო ბაღი არის მუნიციპალიტეტში და 450 აღსაზრდელია. შარშან იყო 750 აღსაზრდელი. მაინტერესებს, სად წავიდა შარშანს მერე 300 აღსაზრდელი.

მაია გოგოლაძე- ეს ციფრი, გამოცხადების მიხედვით არის ჩაწერილი, საშუალოდ, 450 აღსაზრდელია.

ზაალ მამალაძემ ორი ცვლილება დააყენა კენჭისყრაზე:

1. მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში გაიზარდოს 43, 0 ათასი ლარით სოციალური პროგრამები

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

წინააღმდეგი _ 4

(მ. კუტუბიძე, ი. ახობაძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

2. 55,0 ათასი ლარით გაიზარდოს ა(ა)ი.პ.-ების დაფინანსება

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 28

წინააღმდეგი _ 1

(ი. ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 საკითხის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება.

შესვენების შემდეგ, მოხდა ხელახალი რეგისტრაცია და დაიწყო ბიუჯეტის მუხლობრივი განხილვა.

<u>მოისმინეს:</u>

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

<u>მოისმინეს:</u>

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

<u>მოისმინეს:</u>

მუხლი 3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

<u>მოისმინეს:</u>

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

<u>მოისმინეს:</u>

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

<u>მოისმინეს:</u>

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

<u>მოისმინეს:</u>

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

<u>მოისმინეს:</u>

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

<u>მოისმინეს:</u>

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

<u>მოისმინეს:</u>

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

<u>მოისმინეს:</u>

მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 286

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

<u>მოისმინეს:</u>

მუხლი 12. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

<u>მოისმინეს:</u>

თავი II

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

თავი III

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მუხლობრივად კენჭისყრის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე კენჭისყრის შესახებ

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

VI საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ქეთევან სიხარულიძემ, გოჩა ჯიქიამ,

ვლადიმერ სიხარულიძემ აღნიშნა, რომ სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიიდან შემოსული შენიშვნები სოციალური კუთხით და სოციალური დახმარების გაცემის წესში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, გთხოვთ, ეყაროს კენჭი წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 26 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

ოქმს თან ერთვის:

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის დასკვნა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა